ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 126

“ 9 ” ივნისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა №14-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/020-ში, საკადასტრო კოდი: №01.17.10.006.020.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა №14-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/020-ში, საკადასტრო კოდი: №01.17.10.006.020.01.500) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 20 მაისის №20.521.660 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა №14-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/020), პირველ სართულზე მდებარე 50.26 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.006.020.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე რომან გიორგაძისათვის (პ/ნ:01011034549) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**